ანგარიში 5.10.2018 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მუნიციპალიტეტში სოციალური დაცვის მიმართულებით მოქმედებს 6 ძირითადი და 17 ქვეპროგრამა;

1. **სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, სამედიცინო და სხვა სახის მომსახურების პროგრამა,** რომელიც მოიცავს:
   .1. ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
   .2. ზოგიერთი ქრონიკული დაავადებისას მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
   .3. C ჰეპატიტით დაავადებულთა კვლევების დაფინანსება;
   .4. კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-დან 18 წლამდე ასაკის პირთა დახმარება;
   .5. ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
   .6. ხანდაზმულთა სოციალური დაცვა;
   .7. შშმ პირთა სოციალური დაცვა;
   .8. სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება;
   .9. სადღესასწაულო დღეების დახმარება;
   .10. ლეიკემიით დაავადებულთა ფინანსური დახმარება;
   .11. ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა ტრანსპორტის ხარჯით უზრუნველყოფა;
   .12. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების (რომლებიც ვერ მოხვდნენ სახელმწიფო დახმარების მიმღებთა რიცხვში) დახმარება;
   .13. უსინათლოთა და სამამულო ომის ვეტერანთა ყოველთვიური დახმარება კომუნალური ხარჯების დასაფარავად;
   .14. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;
   .15. მარჩენალდაკარგული ბავშვების დახმარება;
   .16. მარტოხელა მშობლების დახმარება;
   .17. სხვადასხვა დახმარებები.
2. **ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა;**

პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში_150 ლარს, მესამე_200 ლარს, მეოთხე_250 ლარს, მეხუთე_300 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა იზრდება 50 ლარით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თანხა განისაზღვრება 500 ლარით.

3. **სPამამულო ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის პროგრამა** (დაკრძალვის ხარჯი შეადგენას 250 ლარს);
4. **სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარების პროგრამა.**

*მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში სოციალურ მიმართულებზე დაიხარჯა 313 210 ლარი. სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია **1021** ბენეფიციარს. მათ შორის:*

- სამედიცინო კვლევებისა და მომსახურეობისთვის 348 ბენეფიციარს გაეწია დახმარება 144 720 ლარით;
- მედიკამენტების შესაძენად დახმარება გაეწია 155 მოქალაქეს, თანხით _ 33 242 ლარი;
- C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისთვის საჭირო კვლევების დასაფინანსებლად დახმარება გაეწია 9 მოქალაქეს, თანხით_ 2 016 ლარი.
- სარიტუალო ხარჯებისთვის დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 20 გარდაცვლილის ოჯახს თანხით 4 000 ლარი.
- ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირთა დახმარება სატრანსპორტო ხარჯით 9 900 ლარი.
- ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება 9 000 ლარი.
- ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით 60 სოციალურად დაუცველ და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს გაეწია 1500 ლარის ღირებულების დახმარება საკვები პროდუქტების სახით.
- 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ 2 მოქალაქეს ---600 ლ (თითოეულს 300 ლ).
- ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სამამულო ომის 9 ვეტერანს გადაერიცხა 1 800 ლ (თითოეულს 200ლ) და შეძენილი იქნა 100 ლარის სასაჩუქრე პაკეტი.
- დედის დღესთან დაკავშირებით 13 მრავალშვილიან (4 და მეტი) ოჯახს–2 950 ლ.
- საქ. ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი სახელმწიფო პროგრამაში —4 000 ლ.
- ომის ვეტერანებს _ ყოველთვიური დახმარება კომუნალური გადასახადებისათვის -- 1890 ლ.

- უსინათლოთა კავშირის წევრ მოქალაქეებზე ყოველთვიური დახმარება კომუნალური გადასახადებისათვის --- 14 310 ლ.
- აუტიზმის და დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით 7 ბენეფიციარს გაეწია დახმარება (თითოეულს 100 ლარი) -- 700 ლარის ოდენობით.
- ჩერნობილის ა/ე აფეთქების სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებს (8 პიროვნება) გაეწია დახმარება 800 ლარის ოდენობით
- შშმ პირთა დასახმარებლად დაიხარჯა 5 658 ლარი (11 ბენეფიციარი).
- კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ელემენტის შესაძენად დახარჯულია 2 992 ლარი (3 ბენ.).
- 100 წელს გადაცილებულთა ფინანსური დახმარება 1 000 ლარი.
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებაზე ტრანსპორტით მომსახურებაზე დახარჯულია 485 ლარი.
- მარტოხელა მშობლების ფინანსური დახმარება 1000 ლარი
- მარჩენალდაკარგული ოჯახების დახმარება 1300 ლარი
- მარტოხელა მოხუცებისთვის და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის სათბობი მასალის შესაძნად დახარჯულია 4500 ლარი.
- ახალშობილებილთა ოჯახების დახმარების პროგრამის განსახორციელებლად დახარჯულია 16 750 ლარი (103 ახალშობილი).
- სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების 1-ლი კატეგორიის მქონე 14 ოჯახს გაეწია დახმარება 20 050 ლარის ოდენობით (მათ შორის: ხანძრის შედეგად დაზარალებული 4 ოჯახი, სხვა ბუნებრივი მოვლენი შედეგად დაზარალებული 5 ოჯახი, სიძველის შედეგად დანგრეული 5 ოჯახი).

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 10 000 ლარი და სოფელ წიფში მცხოვრებ პაატა შველიძის მრავალსულიანი ოჯახისთვის შეძენილი იქნა კაპიტალური სახლი.

- ა(ა)იპ სათნოების სახლში, დღეის მდგომარეობით უფასო სადილს იღებს 73 ბენეფიციარი. მათ რიცხვში არიან სოციალურად დაუცველები, მზრუნველობამოკლებული მოხუცები, ინვალიდები და მრავალშვილიანი ოჯახები. კვება არის ერთჯერადი, კვირაში 6 დღე სადღესასწაულო დღეების ჩათვლით. მიმდინარე წლის 7 თვეში სათნოების სახლს ბენეფიციართა კვებაზე გაწეული აქვს 16 712 ლარის ხარჯი, საშუალოდ ერთი კ/დღე შეადგენს 1,50 ლარს. ბენეფიციართა კვებასთან ერთად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სასადილო ეხმარება საკვები პროდუქტით და ამ მიმართულებით 25 ოჯახისთვის გაწეული დახმარება შეადგენს 1235 ლარს.

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 14 ს/ამბულატორია, რომელთაგან 4 ორბრიგადიანია, დანარჩენი 10 _ ერთბრიგადიანი. სულ 18 ექიმი და 19 ექთანი. სამსახურმა მიმდინარე წელს განახორციელა მონიტორინგი რამდენიმე ამბულატორიაში. მონიტორინგისას გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რაზეც მერია შესაბამის სამსახურებთან ერთად უახლოეს პერიოდში დაიწყებს მუშაობას.

- მოქალაქეებს სამსახურის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში გაეწევათ კონსულტაცია საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებასა და ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ.

- სამსახურის მიერ იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს ინტენსიურად გადაეგზავნება შუამდგომლობები მოქალაქეთა შესახებ, რომლებიც ითხოვენ გადამოწმებას სოც. აგენტის მიერ. მიმდინარე წლის შვიდ თვეში გადამოწმების მიზნით შემოსულია 17 განცხადება, რაც დაუყოვნებლივ გადაგზავნილია მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრში. შემოსულია 14 პასუხი, რომლის შინაარსიც ეცნობა მოქალაქეს, ძირითადად ერთ წელზე ადრე გადამოწმებას არ ექვემდებარებიან, მხოლოდ ორმა მათგანმა მოიპოვა 5 ბავშვზე თვეში 50 ლარის ოდენობით შემწეობის დანიშვნა, ხოლო ერთი მოქალაქე გადამოწმდება ხარაგაულის მომსახურის ცენტრის მიერ.

- სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან, გაიწევა კონსულტაციები ვეტერანებისთვის აქტუალურ საკითხებზე, ასევე, ხდება მათი დახმარება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში.

- სამსახურის მიერ გარკვეული მუშობა მიმდინარეობს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად. მუნიციპალიტეტის 20 ადმინიტრაციული ერთეულის კერძო სექტორში განსახლებულია 95 დევნილი პიროვნება, რომელიც გაერთიანებულია 34 ოჯახად. 32 ოჯახი _ 92 პიროვნება აფხაზეთიდან დევნილია, ხოლო 2 ოჯახი _ 3 პიროვნება __ სამაჩაბლოდან. მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა სოციალურ პროგრამაში ჩართულები არიან დევნილები; ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, გამონაკლისის სახით, ხდება უკიდურესად გაჭირვებული დევნილი ოჯახების დახმარება საშეშე მასალით.
- მიმდინარე წლის 7 თვეში მოქალაქეების მიერ შემოტანილია 1196 განცხადება, აქედან სამედიცინო კვლევასა და მომსახურებაზე გაცემულია 432 ადმინისტრაციული დაპირება, თანხით 196 685 ლარი. მედიკამენტზე შემოსულია 163 განცხადება. დაკმაყოფილებულია 155 განცხადება